წერილის ნომერი: **30-302611865**
თარიღი: **28/04/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 156-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის INTERREG პროექტში - „მდინარეების დაბინძურების შესწავლა და მათი აღდგენა“ (BSB00584) - აღნიშნულ პროექტის განხორციელების მიზნით, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 4 პირთან. პროექტი მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ეკოსისტემის გაჯანსარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

ვინაიდან მერიას ამოწურული აქვს შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირთა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ლიმიტი, მოგმართავთ მერიაში შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმების ინიციატივით.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, რაც დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ტრანშის ასიგნების ფარგლებში.

გ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის, ეკატერინე ჩუბინაშვილის კანდიდატურას.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, იმისათვის რომ ხელი არ შეეშალოს პროექტის განხორციელებას, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გთხოვთ მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე“

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2026 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 156-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. დაშვებული იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი და მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, მერიის მიერ განსახორციელებელ ევროკავშირის INTERREG პროექტში - „მდინარეების დაბინძურების შესწავლა და მათი აღდგენა“ (BSB00584) - ჩართვის მიზნით, მერიაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გაზარდოს 4 (ოთხი) ერთეულით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**